დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის
მოვალეობის შემსრულებლის 2025 წ.20 თებერვლის N24 „ო“ ბრძანებით

სსიპ კოლეჯი "ერქვანი"

სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესი

სარჩევი

თავი I ზოგადი დებულება.....5

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება..... 5

მუხლი 2: საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება..... 7

თავი II დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება.....7

მუხლი 3: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება 7

მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა..... 8

მუხლი 5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა..... 10

მუხლი 6. ხელოვნების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლემლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის თავისებურებანი 12

მუხლი 7. ჩარიცხვაზე უფლებამოსილი პირი დაწესებულების ხელმძღვანელი..... 12

მუხლი 8. ჩარიცხვის საფუძველია 13

მუხლი: 9 უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აპლიკანტის, ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე რეგისტრაცია..... 14

მუხლი 10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება 14

მუხლი 11. დაწესებულებაში, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტები..... 15

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის "პირადი საქმე" შეიცავს: 16

თავი: III მიმღები კომისია, შესარჩევი და სააპელაციო კომისია 17

მუხლი 13. მიმღები კომისია..... 17

მუხლი 14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანთა შერჩევა..... 19

მუხლი 15. შერჩევის და სააპელაციო კომისია..... 20

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება..... 21

მუხლის 17. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 22
თავი IV. პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი 23
მუხლი 18. რეგულირების სფერო 23
მუხლი 19. გარე მობილობისა და შიდა მობილობის უფლების მქონე პირი 23
მუხლი 20. დაწესებულებაში მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება და ჩარიცხვის შესახებ აქტის გამოცემა 26
თავი: V მიღებულ ფორმალურ განათლებსათან დაკავშირებული წესები რეგულაციები 27
მუხლი 21. ფორმალური განათლების პროცესი 27
მუხლი 22. ფორმალური განათლების აღიარების შეზღუდვა 28
მუხლი 23. განცხადების წარდგენა 28
მუხლი 24. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება 29
მუხლი 25. გასაჩივრების წესი 30
მუხლი 26. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები 30
მუხლი 27.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება 31
მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლა 32
მუხლი 29. პროფესიული პროგრამების განხორციელების წესი 32
მუხლი 30. კვალიფიკაციის მინიჭება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე , რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა 33
მუხლი 31. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის , პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება , აღრიცხვა და შენახვა 34
მუხლი 32. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო მიზნით შეძენილი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი 35
მუხლი 33. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშება 35

თავი VI. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი 36

მუხლი 34. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს:..... 36

მუხლი 35. სამუშაო შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან. 37

მუხლი 36. ბრძანების მომზადება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ;..... 37

მუხლი 37. სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება..... 37

მუხლი 38. პროფესიული კოლეჯის წერილობითი მიმართვა დამსაქმებლისადმი 38

მუხლი 39. საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი 38

მუხლი 40. პროფესიული სტუდენტის შეფასება და საწარმოო პრაქტიკის შეჯამება 39

მუხლი 41. დამსაქმებლისაგან უკუკავშირის მიღება..... 39

თავი VII. ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების-შეფასების და გასაჩივრების წესი. 39

მუხლი 42. ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი. 39

მუხლი 43. პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) 41

მუხლი 44. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგის შეფასების წესი..... 42

მუხლი 45. სამუშაოზე დაფუძნებული /დუალური სწავლების პირობებში, კოლეჯში/საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასება..... 44

თავი I ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ (შემდგომში კოლეჯი) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობებს და წესებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესს, არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კოლეჯი - სსიპ კოლეჯი „ერქვანი“;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები;

გ) რესურსცენტრი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) ტერიტორიული ორგანო საგანმანთლებლო რესურსცენტრი;

დ) აპლიკანტი –პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან /და რომლის პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია ამ დებულებით დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი – პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

ვ) ექსპერტთა გუნდი/გუნდები - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასების მიზნით, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი არანაკლებ 3 ექსპერტისაგან შემდგარი გუნდი;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

თ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის /კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში);
ი)კრედიტი – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

კ) კვალიფიკაცია – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

ლ) პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მ) მსმენელი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;

ნ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება - პროფესიული სტუდენტის სტატუსის დროებით შეჩერება, რომელიც არ გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

ო) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და კოლეჯში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიიდან მისი ამორიცხვა;

პ) პროფესიული სტუდენტის მობილობა – პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

ჟ) შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის კოლეჯის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან კოლეჯის სხვა მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.

რ) მოდულის განმახორციელებელი - პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს მოდულს(შემდგომში მასწავლებელი).

მუხლი 2: საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება

1. პროფესიული განათლების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დაფინანსება ხორხციელდება საქართველოს კანონის ,,პროფესიული განათლების შესახებ“ შესაბამისად.

2. სასწავლო პროცესის ვაუჩერული დაფინანსება რეგულირდება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N 244 დადგენილებით და ამ წესში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილებებით

თავი II დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება.

მუხლი 3: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება

1. დაწესებულება მიღებას აცხადებს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით (vet.emis. ge) და ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

2. დაწესებულება მიღების გამოცხადების მიზნით ანკეტა-კითხვარში ასახვს ინფორმაციას იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ,რომელზეც აცხადებს მიღებას, მისაღები ადგილების რაოდენობას, სსსმ და შშმ პირების მისაღები ადგილების რაოდენობას და სხვა ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაწესებულება ვალდებულია მიღება გამოაცხადოს ორი სასწავლო გეგმით (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია თავად დაწესებულება.

მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა.

1. პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებთ დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილი წესით, უფლება აქვს ჩაირიცხოს დაწესებულებაში, მიიღოს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

2. დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების რეალიზების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021წლის 2ივლისის N42/ნ ბრძანების საფუძველზე, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებს კონსულტაციებით მთელი წლის განმავლობაში, მიმართვის შესაბამისად: პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების; კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ; პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში მსურველებს ეხმარება რეგისტრაციაში.

3. გარდა ამ მუხლის მე-2-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, დაწესებულება
ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველები, გაივლიან ავტორიზაციას და რეგისტრირდებიან ელექტრონული ონლაინ სისტემით (**vet.emis.ge**).

4.1 რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის მობილური ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით;

4.2 აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში;
4.3 რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

4.4 აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის ამ მუხლის 4.2- პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში;

4.5 რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი;

4.6 უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

5. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას უმაღლეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე.

6. ჩარიცხვის უფლება აქვს სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე აპლიკანტს, რისთვისაც მიღების გამოცხადების დროს დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში განსაზღვროს სსსმ აპლიკანტებისთვის. (მიღებული ციფრი მრგვალდება ქვედა ზღვარით მაგ: 15% არის 1,9 ადგილი იქნება 1-თი).

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში - რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამა) დაწესებულება უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტთა შეფასება განახორციელოს დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით.

8. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს კოლეჯის მიერ დადგენილი შერჩევა, აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ შერჩევის შედეგების გათვალისწინებით.

მუხლი 5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა

1. ყველა პროგრამა, რომელზეც შესაბამის წელს გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შერჩევას განსაღვრავს კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 ივლისის N 50 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „ სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტის შერჩევის წესი“.

2. პირს, რომელსაც მულტიდისციპილინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს განათლების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ ვადაში.

3. იმ პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მიღება შესაძლებელია პროგრამის თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციის წინასწარ თანხმობის შემთხვევაში. ამასთან, პროგრამაზე მისაღები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რაოდენობას დაწესებულება ასახავს ანკეტა-კითხვარში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გადის ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ შერჩევას.

5. დაწესებულება განიხილავს შესაბამისი გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

6. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, დაწესებულებას უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვით მიზნით, დაწესებულება გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მონაცემებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.

8.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, დაწესებულება უფლებამოსილია ინფორმაცია შესავსები ადგილების შესახებ, მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

9.შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, დაწესებულება იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, პროგრამაზე მისაღები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის განსაზღვრული ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს.

10. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმ აპლიკანტებისათვის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

11.3 აპლიკანტი უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს პროგრამა.

12. პროგრამაზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადაგენილ ვადებში.

13. თავისუფალი ადგილების შევსების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვაზე არ ვრცელდება მინისტრის N42/ნ ბრძანების 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

14. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით საფუძველზე, განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

15. დაწესებულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და მათი წარდგენის ვადებს.

16. დაწესებულება, ამ მუხლის მე-15-ე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

17. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს დაწესებულება ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 6. ხელოვნების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლემლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვის თავისებურებანი

1. ხელოვნების მიმართულებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში , აპლიკანტმა უნდა გაიაროს დაწესებულების მიერ დადგენილი წესით შერჩევის პროცედურები.

მუხლი 7. ჩარიცხვაზე უფლებამოსილი პირი დაწესებულების ხელმძღვანელი

1. პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირის დაწესებულებაში ჩარიცხვას წინამდებარე წესისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აწარმოებს ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი.

2. განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, აცხადებს აპლიკანტთა მიღებას, გამოსცემს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს მისაღები პროგრამების, პროგრამებზე მისაღები ადგილების რაოდენობის, მათ შორის სსსმ პირების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ და რეესტრის სპეციალისტის მეშვეობით ავსებს ანკეტა-კითხვარს.

3. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მისაღებ აპლიკანტთა რაოდენობას არანაკლებ 15%-ით განსაზღვრავს სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის.

4. დაწესებულების ხელმძღვანელი, სადაც სამინისტროს გადაწყვეტილებით განთავსებულია საგამოცდო ცენტრი, გამოსცემს ინდივიდუალურად მინისტრაციულ სამართლებრივ აქტს შესაბამისი შენობის ან მისი ნაწილის და აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების უზრუნველსაყოფად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უზრუნველყოფს საგამოცდო კომისიის/კომისიების შექმნას.

6. დაწესებულების ხელმძღვანელი, მიღების გამოცხადების შემდეგ, ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, აპლიკანტთა კოსულტაციის და მიმართვის შემთხვევაში რეგისტრაციაში დახმარების მიზნით ქმნის მიმღებ კომისიას. რომლის წევრები არიან ადმინისტრაციის თანამშრომლები, მათ შორის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანთთა შერჩევის მიზნით დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდულაური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის შესარჩევ და სააპელაციო კომისიებს.

8. ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიღებიდან, სწავლის დაწყებამდე, ამ წესის მუხლი 11. -1პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით 2 დღის ვადაში რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე, აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულ ქმედუნარიანია/არასრულწლოვანია, მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

9. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს, დაწესებულება ამ მუხლის მე-8-ე პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან **3** დღის ვადაში ასახავს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 8. ჩარიცხვის საფუძველია

1.საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტმა გაიარა დაწესებულების მიერ დადგენილი წესით შერჩევის პროცედურები, გადალახა დაწესებულების მიერ დამტკიცებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და სრულად დააკმაყოფილა კოლეჯის მოთხოვნა (მუხლი 11. პ1) წარსადგენი დოკუმენტაციის შესახებ.

2.უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტმა გაიარა ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება, მოხვდა ცენტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში, დააკმაყოფილა კოლეჯის მიერ დადგენილი დამატებითი მოთხოვნები(ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სწავლის დაწყებამდე, დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით დადგენილ ვადაში (მუხლი: 11 , პუნქტი -1), კოლეჯს წარმოუდგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

3. აპლიკანტის მიერ, ამ წესის მე-11-ე მუხლის; პუნქტი 1 -ით, განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შეიძლება გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

მუხლი: 9 უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აპლიკანტის, ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე რეგისტრაცია.

1. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე აპლიკანტი რეგისტრირდება ,,ონლაინ“ ან დახმარებისათვის მიმართავს დაწესებულებას.

2. სარეგისტრაციო ცენტრი რეგისტრაციას უზრუნველყოფს ცენტრის წარდგინებით სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში ელექტრონული ფორმით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

3. დაწესებულება ვალდებულია გამოყოს აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი და შეასრულოს ცენტრისა და სამინისტროს თანამშრომლების მითითებები.

4. აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელობს განათლების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით.

მუხლი 10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტზე შექმნილი მოდულური პროგრამებისათვის აპლიკანტს შეუძლია საგამოცდო ენად მიუთოს: რუსული, სომხური ან აზერბაიჯანული ენა.

2. ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტირების წარმატებით გავლისა და დაწესებულების დირექტორის სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტით სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ, პროგრამაზე სწავლას იწყებს მოდულით, ,,ქართული ენა A2“, რომლის სწავლებაც მოდულური პროგრამების შესაბამისად ხორციელდება 20 კვირის მანძილზე.

3. მოდულის, ,,ქართული ენა A2“ დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და ის უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, დადგენილი წესის შესაბამისად. შემდგომი ტესტირების ფარგლებში ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით, მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ იმ პროფესიულ სპეციალიზაციაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არ აკლდება დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა მომდევნო მიღებისათვის დადგენილ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

5. პროფესიული სტუდენტის მიერ ,,ქართული ენა A2” მოდულის სწავლის შედეგების დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 11. დაწესებულებაში, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტები

1. ჩარიცხვის მსურველმა დაწესებულებას უნდა წარმოუდგინოს:

1.1 განცხადება დირექტორის სახელზე -არასრულწლოვნის, სსსმ და შშმ პირების შემთხვევაში მათმა მშოლებმა ან მეურვეობაზე კანონიერმა წარმომადგენელმა, სასურველი პროგრამის მითითებით;

1.2 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი;

1.3 არასრულწლოვანმა უნდა წარმოადგინოს პირადობის და დაბადების მოწმობის ასლები, ასევე მშობლის ან მეურვეობაზე კანონიერი წარმომადგენლის პირადობის ან პასპორტის ასლი;

1.4 საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;

1.5 საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სადაც არაა ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხური და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;

1.6. მამრობითი სქესის 17 წელს მიღწეულმა პირმა (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი .

2. ამ მუხლის ,,1.4.“ და ,,1.5.’’ ქვეპუნქტით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის დედანის წამოდგენის შემთხვევაში, დედანი პირს უბრუნდება უკან, ამ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენისთანავე. წარმოდგენილი ასლები დაწესებულების საკუთრებაა;

3. იმ სსსმ და შშმ პირების შემთხვევაში, რომლებიც იმყოფებიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობის ქვეშ, მათმა მეურვეებმა უნდა წარმოადგინონ მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით განსაზღვრული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. არასრულწლოვანის/სსმ და შშმ პირების შემთხვევაში მათი ნების გამოვლენის ნამდვილობის დადასტურების მიზნით კოლეჯი ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 და მე-15 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის ”პირადი საქმე” შეიცავს:

1. საბუთების მიღების ეტაპზე წარმოდგენილ ყველა დოკუმენტაციას, მათ შორის პირად (არასრულწლოვნის შემთხვევაში) - კანონიერი წარმომადგენლის განცხადებას;

2. ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის, დისციპლინის დარღვევის და ა.შ. შესახებ დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ასევე, სასწავლო ხელშეკრულების და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლებს.

3. ნებისმიერ ისეთ დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და მოვალეობებთან და მოქმედი კანონმდებლობის ან მხარეთა შეთანხმების თანახმად არ არსებობს მისი სხვა დოკუმენტებთან შენახვის ვალდებულება.

4. პროფესიული სტუდენტის "პირად საქმეში" მოთავსებული დოკუმენტაცია დაწესებულების საკუთრებაა (გარდა უშუალოდ დედანის სახით წარმოდგენილი დოკუმენტისა) და რჩება მასთან. მის წარმეობაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აწარმოოს "პირადი საქმის" შემადგენლობის აღრიცხვა და თანდართვა.

თავი: III მიმღები კომისია, შესარჩევი და სააპელაციო კომისია

მუხლი 13. მიმღები კომისია

1. მსურველთა ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და საინფორმაციო უზრუნველყოფას აწარმოებს დაწესებულების მიმღები კომისია, რომელსაც ქმნის და წევრებით აკომპლექტებს დაწესებულების ხელმღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. მიმღები კომისია დაწესებულების ხელმძღვანელის სათათბირო კოლეგიური ორგანოა, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან. იგი ვალდებულია:

2.1 ამ წესით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, დაწესებულებაში ჩასარიცხად დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, ხარვეზის შემცველობის შემთხვევაში - ხარვეზზე მითითება და მის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

2.2 აწარმოებს ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სანდოობის შემოწმებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.3 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N69/ნ 2019 წლის10 აპრილი ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" გათვალისწინებული ერთი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის ფარგლებში სთავაზობს აპლიკანტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების იმ ჩამონათვალს, რომლისთვისაც კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს აპლიკანტი.

2.4 მიმღები კომისია, აპლიკანტს ინტერვიურირების გზით, ეხმარება კოლეჯის მიერ გამოცხადებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში და აცნობს ჩარიცხვის პროცედურებს;

2.5 მოამზადოს და წარადგინოს დაწესებულების ხელმძღვანელთან ჩასარიცხი აპლიკანტების შესახებ განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების მუხლი 21- პ.2; პ.3 აპლიკანტების მისაღებ ადგილებზე განაწილება და ამ წესით წარსადგენი დოკუმენტაციის წარმოდგენის სრულყოფის ოქმი ჩარიცხვის რეკომედაცის შესახებ, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

2.6 აწარმოებს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას დაწესებულებაში ჩასარიცხად განსაზღვრული პროცედურების გავლის შედეგებისა და მათ მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების (ჩარიცხვა ან ჩარიცხვაზე უარის თქმა) შესახებ;

2.7 თითოეული აპლიკანტის "პირადი საქმის" შექმნა და ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადასცეს ისინი (მათ შორის იმ პირთა "პირადი საქმეები", რომლებიც არ იქნენ ჩარიცხულნი) შემადგენლობის აღრიცხვით დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილ პირს;

2.8 სისტემატიურად ფლობდეს და აწარმოებდეს მონაცემებს სპეციალობების ვაკანტური და შეევსებული ადგილების შესახებ რეგისტრაციის პერიოდების მიხედვით;

2.9 ადგილზე განახორციელოს დაინტერესებულ პირთა ინფორმირება დაწესებულებაში სწავლებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარიცხვის სავალდებულო წინაპირობების, ვადების, პროგრამების დაფინანსების პირობებისა და არსებული ვაკანტური ადგილების შესახებ;

2.10 უზრუნველყოს დაწესებულებაში ჩარიცხვის პროცედურის სამართლიანობა და გამჭვირვალობა;

2.11 ნებისმიერ დროს უზრუნველყოს დაინტერესებული პირის მირ წინამდებარე წესისა და სასწავლო შინაგანაწესის გაცნობის შესაძლებლობა;

2.12 შეასრულოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა ვალდებულებები, რომლიც მართალია აქ არ არის აღნიშნული, თუმცა გამომდინარეობს და განუყოფლად უკავშირდება მიმღები კომისიის კომპეტენციას;

2.13 დაწესებულების ხელმძღვანელს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შესახებ პერიოდული ვერბალური ანგარიში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. პროფესიული სტუდენტის „პირადი საქმე" ყალიბდება მიმღები კომისიის მიერ და შემდგომი წარმოებისათვის გადაეცემა დაწესებულების საამისოდ უფლებამოსილ თანამშრომელს, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ – დაწესებულების არქივზე პასუხისმგებელ პირს.

მუხლი 14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანთა შერჩევა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანთა შერშერჩევის წესი (შემდგომში წესი) არეგულირებს, კოლეჯის მიერ, აპლიკანთა შერჩავის პროცედურებს და გულისხმობს შერჩევის მიზნთ აპლიკანტთა შეფასებას. აღნიშნული წესი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებას ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

2. სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი“-ს (შემდგომში კოლეჯი) მიერ შერჩევის შედეგების საფუძველზე, განხორციელდება იმ აპლიკანტთა გამოვლენა , რომლებიც სწავლას განაგრძობენ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3. შერჩევის პროცეში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4. მართვის საინფორმაციო სისტემაში აპლიკანტები რეგისტრირდებიან ონლაინ ან დახმარებისათვის მიმართავენ დაწესებულებას.

5. რეგისტრაციის დროს აპლიკანტს უფლება აქვს აირჩიოს 3 სასურველი პროგრამა, რეგისტრაციისთვის მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში, ამავე ვადებში შეუძლია არჩევანის შეცვლა.

6. შერჩევა, ტესტირება ტარდება მინისტრის მიერ ბრძანებით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში.

7. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების (თვითპრეზენტაციის,მოტივაციის,დამოუკიდებელი მუშაობის,გუნდური მუშაობის და კომუნიკაციის უნარები) გზით.

8. დაწესებულება, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს შერჩევის თარიღს/თარიღებს, დროს, ადგილს და ასახავს მართვის სარეგისტრაციო სისტემაში, განათავსებს დაწესებულების ვებ. გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე 5 დღით ადრე. დაწესებულების შენობაში ინფორმაციას ბეჭდური სახით განათავსებს თვალსაჩინო ადგილზე და აპლიკანტებს, მიმართვის შემთხვევაში, მიმღები კომისის საშუალებით აწვდის ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ.

9. მართვის სისტემის მიერ შედგენილი რეიტიგული სია, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. რეიტინგული სიები, რომლებიც განათლების მიღწეული დონის მიხედვითაა (ორი სია) შედგენილი ან კონკურსის არ არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილია ერთად მიღწეული განათლების დონის მიუხედავად და რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება კოლეჯის მიერ დადგენილ

მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, მართვის სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს დაწესებულებისთვის: ა) აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით. ბ) აპლიკანტისთვის, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით ინფორმაციის ხელმისაწვდომობას რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით.

მუხლი 15. შერჩევის და სააპელაციო კომისია

1.აპლიკანტთა შერჩევის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართებლივი აქტით იქმნება შერჩევის (შეფასების) კომისია, კომისია შედგება არაუმეტეს 6 წევრისა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ადმინისტრაციის წარმომადგენლი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პირი/პირები პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

2. კომისია უფლებამოსილია , თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი. გადაწყვეტილების მიღების დროს, ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

3. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევის შედეგები შეფასების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღისა აისახება მართვის სარეგიტრაციო სისტემის სპეციალურ პროგრამაში.

4. შერჩევის კომისიის მიერ შერჩევის შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

5. აპლიკანტთა შერჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით , კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.

6. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს შესარჩევი კომისიის წევრი.

7. შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებული დარღვევებისა და შერჩევის შედეგების გასაჩივრების მიზნით აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპელაციო კომისიას, კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

8. სააპელაციო კომისია წარდგენილ განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ერთი სამუშაო დღის ვადაში.

9. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

10. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

11. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით,რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს,რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

1.1. სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილი სწავლის გაგრძელებლის შეუძლებლობის მოტივით.

1.2. სისხლის სამართლის პასუხისგებაში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;

1.3 სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;

1.4 სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

1.5 ჯანმრთელობის მდგომარეობა;

1.6 სამხედრო სამსახურში გაწვევა, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა;

1.7 უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

1.8 კოლეჯის შინაგანაწესის უხეშად დარღვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „1.5“, „1.6“, „1.7“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით წერილობით მიმართავს კოლეჯს. იგი ვალდებულია, წარადგინოს ზემოთ აღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების დამადასტურებელი, შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

5. პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა აღნიშნულის თაობაზე წერილობით უნდა მიმართოს კოლეჯს ან მის უფლებამონაცვლეს.

6. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად და აღნიშნულის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება .

7. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც აღუდგება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ ეტაპიდან, რომელზეც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

8. სტატუსის შეჩერება ფორმდება დირექტორის ბრძანებით და შესაბამისი ცვლილებები შეიტანება მონაცემთა ბაზაში.

მუხლის 17. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

1.1 სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილი სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით.

1.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა;

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

1.4 პროფესიული სტუდენტის/არასრულწლოვნის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით;

1.5 კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ გასულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

1.6 კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, სასწავლო პროგრამის მთლიანი სწავლის შედეგების 40%-ის ვერ დადასტურების შემთხვევაში.

1.7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურება, იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის გავლის წინაპირობასაც წარმოადგენს აღნიშნული მოდული.

1.8 კოლეჯის შინაგანაწესის მოთხოვნათა არაერთგზის უხეში დარღვევა. რაზედაც გამოყენებული იყო დისციპლინარული სახდელი სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება;

1.9 გარდაცვალება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის 1.8- ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, დისციპლინარული კომიტეტის ან კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სტატუსის შეწყვეტა ფორმდება დირექტორის ბრძანებით და შესაბამისი ცვლილებები შეიტანება მონაცემთა ბაზაში.

თავი IV. პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი

მუხლი 18. რეგულირების სფერო

პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, 2019 წლის 20 სექტემბრის N 198/ნ ბრძანებით, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში (შემდგომში – გარე მობილობა) და მის ფარგლებში ერთი პროფესიული ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში – შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას.

მუხლი 19. გარე მობილობისა და შიდა მობილობის უფლების მქონე პირი

1. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.

2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პირადი განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.

5. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 - წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან კოლეჯის წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.

8. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.
9. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

10. იმ შემთხვევაში თუ კოლეჯი ლიკვიდირებული იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ან დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ან გაუვიდა ავტოეიზაციის ვადა, კოლეჯის პროფესიული სტუდენტები მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით განსაზღვრული პირობები.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25%-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დწაესებულების მიერ დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

13. კოლეჯისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, კოლეჯში პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

14. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლით კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე კოლეჯის უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან კოლეჯის უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

15. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელებით.

მუხლი 20. მობილობის უფლების შეზღუდვა

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი N 1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
2. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

მუხლი 20. დაწესებულებაში მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება და ჩარიცხვის შესახებ აქტის გამოცემა

1. გარე და შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით, პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება რომელზეც პირს სურს გადასვლა.

2. კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

3. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. კოლეჯი, კანონით დადგენილ ვადებში განიხილავს მობილობის მსურველი პირის განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას ჩარიცხვაზე ან ჩარიცხვაზე ურის თქმის შესახებ. ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. აღიარება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში კოლეჯის სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

6. კოლეჯი, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს ელექტრონულ სისტემაში.

7. ელექტრონული სისტემის მონაცემების საფუძველზე, თუ კოლეჯიდან გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში გადადის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზე,კოლეჯის დირექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს ელექტრონულ სისტემაში.

8. წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-III თავის მე-2 მუხლის მე-7; მე-10; მე-11; მე-13; მე-14 პინქტები და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები გავრცელდეს 2022 წლის 15 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

თავი: V მიღებულ ფორმალურ განათლებსათან დაკავშირებული წესები რეგულაციები

მუხლი 21. ფორმალური განათლების პროცესი

1. განმცხადებელი უფლებამოსილია ფორმალური განათლების არიარების თხოვნით მიმართოს კოლეჯს, ამასთან ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ.
2. აღიარების პროცესის დაწყების საფუზველია პირის მიერ კოლეჯში წარდგენილი წერილობითი განცხადება.
3. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგეტაპებს.

ა) განცხადების წარდგენა (დანართი 1 განცხადება, დანართი 2 კონფიდენციალობის და მიუკერძოებლობის დაცვის დეკლარაცია);

ბ)განცხადების და დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა;

გ) კომისიის შექმნა;

დ) კომისიის მიერ განცხადების თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება;

ე) კომისიის გადაწყვეტილების მიღება;

ვ) კომისიის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება;

ზ) დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ;

თ) აღიარების კომისიის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების განსაზღვრის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.

მუხლი 22. ფორმალური განათლების აღიარების შეზღუდვა

1. დაუშვებელია აღიარება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პირს დაწესებულების მიერ ერთხელ ეთქვა უარი კონკრეტული სწავლის შედეგების არიარებაზე, კონკრეტული პროგრამის მიზნებისათვის;

ბ) აღიარების შესახებ განაცხადის წარდგენამდე განხორციელდა პირის შეფასება პროგრამის ფარგლებში, განაცხადით მოთხოვნილი ასაღიარებელი სწავლის შედეგების ნაწილში;

გ) პირის მიერ არ არის წარმოდგენილი ამ წესის 23-მე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალუსწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დ) შეუძლებელია მიღწეული სწავლის შედეგების იდენტიფიცირება ამ წესი 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის.

მუხლი 23. განცხადების წარდგენა

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით, დაინტერესებული პირი/დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენელი კოლეჯს წარუდგენს განცხადებას.
2. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (განცხადების წარმომადგენლის მიერ წრმოდგენის შემთხვევაში);

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატი და მისის დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი)- ან მისი ნოტარიულად დამოწმწბული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს.

3. განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსბადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე.

4. კოლეჯი უფლებამოსილი არ არის განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე კოლეჯის მიერ განმახორციელებელი ფორმალური განათლების ფარგლებში.
5. კოლეჯის შესაბამისი პროგრამის სასწავლო პროცესის მენეჯერი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების და წარმომადგენელი დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებლს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. განმცხადებლისათვის დოკუმენტების წარმოდგენისათვის განსაზღვრულ დროში ადმინისტაციული წარმოების 1 თვიანი ვადის შეჩერებულად ითვლება.
6. თუ კოლეჯის მიერ დადგინილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბიმის დოკუმენტს, კოლეჯი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
7. კოლეჯის შესაბამისი პროგრამის სასწავლო პროცესის მენეჯერი განცხადების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის საფუძველზე. განსაზღვრავს კომისიის შემადგებლობას და წერილობითი ფორმით. სამსახურებრივი ბარათით დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირქტორს კომისისი შემადგენლობას.

მუხლი 24. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება

1. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კომისიას არანაკლებ 3 (სამი) წევრის შემადგენლობით, რომლებიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

   ა) ხარისხის მართვის მენეჯერი;

   ბ) სასწავლო პროცესის მენეჯერი:

   გ) შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.
3. პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, კომისიის ერთ-ერთ წევრად შეიძლება განისაზღვროს პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი (დარგის სპეციალისტი).
4. კოლეჯი უფლებამოსილია კომისიის განხილვაზე მოიწვიოს განმცხადებელი, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
5. კომისიის წევრები სამუშაოს დაწყებეამდე ვალდებული არიან, მოახდინონ კოოლეჯის დირექტორისინფორმირება ინტერესტა კონფლიქტის ან პროცესის სხვა ხელისშემშლელი გარემოების/გარემოებების შესახებ, რასაც ადასტურებს „კონფიდენცილაობისა და მიუკერძლობლობის დეკლარაციაზე ხელმოწერით (დანართი N2).

მუხლი 25. გასაჩივრების წესი

1. განმცხადებელი უფლებამოსილია იასარგებლოს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით.
2. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, მაძიებელი გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვას.
3. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, არანაკლებ 3 წევრის. შედგება: კოლეჯის იურისტის, პროფესიული მიმრთულების მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები ან დარგის სპეციალისტი და დამსაქმებელი. შემადგენლობით ქმნის სააპელაციო კომისიას კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზნით.
4. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.
5. სააპელაციო კომისის უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.
6. თუ კომისიის რომელიმე წევრი ვერ დაესწრება სხდომას უნდა ჩანაცვლდეს სხვა წევრით დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
7. სააპელაციო კომისია უფლება მოსილია გამოიკვლის გასაჩივრების კანონიერბა, შეისწავლოს ყველა გარემოება საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს მხარეები (აღიარების კომისიის წევრები და მომჩივანი).
8. სააპელაციო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს ერთერთ გადაწყვეტილებას, აღიარების კომისიის გაზიარების ანდა კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
9. აღიარების კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო კომისიის მისთვის დაბრუნებულ გადაწყვეტილებას და სათანადო დასაბუთებით ცვლის ან უცვლელად ტოვებს თავდაპირველ გადაწყვეტილბას 3 სამუშაო დღის ვადაში.
10. აღიარების კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას ოქმის სახით წარუდგენს დირექტორს აღიარების შესახებ ბრაძანების გამოცემის მიზნით.

მუხლი 26. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას კოლეჯის სხვა მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3. კოლეჯში მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამის არ არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 27.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ამ წესისა და კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული სხვა რეგულაციებისა და წესების შესაბამისად.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით. ასვე პროგრამის ადაპტირებაში მონაწილეობას ღებულობენ შესაბამისი დარგისა და ზოგადი მოდულების მასწავლებლები.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების დაცვით, ცვლილებების შეტანის საჭირობების შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთებით წერილობით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და წარუდგენს შესაბამის ცვლილებებს დასამტკიცებლად. აღნიშნული ცვლილებები მტკიცდება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის დატვირთვა მოიცავს არაუმეტეს 7 ასტრონომიულ საათს შესვენებებით. გაკვეთილის ხანგძლივობა განისაზღვრება 45 წუთით, ხოლო შესვენება ჯამში 90 წუთია.

6. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა განისაზღვრება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

7. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად შედგენილი სასწავლო ცხრილით.

8. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს: ა) მოდულის დასახელება; ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის სახელი, გვარი; გ) ლექციის ჩატარების თარიღი და დღეების დასახელება. დ) სალექციო განრიგი დამოწმებულია კოლეჯის დირექტორის მიერ.

9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების დრო და არდადეგები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, სასწავლო პროცესისა და სასწავლო - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლა

1.პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის მიმართ გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.

2. პროფესიულ სტუდენტს გაცდენა ჩაეთვლება საპატიოდ, თუ გაცდენის მიზეზს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის:

2.1 ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რომელიც დადასტურებულია სამედიცინო ცნობით.

2.2 ოჯახური ან პირადი მდგომარეობის გამო, რომელიც დასტურდება წერილობითი მოთხოვნით, განცხადებით.

2.3 მისი უშუალო ხელმძღვანელის, მასწავლებლის სიტყვიერი ნებართვით, რაც დასტურდება აღნიშული პირის მიერ.

2.4 საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილეობა;

2.5 სხვა გამონაკლის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებული იქნება კოლეჯის დირექტორის მიერ დისციპლინარული კომიტეტი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 29. პროფესიული პროგრამების განხორციელების წესი

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №122/ნ 2019 წლის 19 ივნისი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის კოლეჯ „ერქვანის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ დადგენილი წესის შესაბამისად, კოლეჯის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; ბ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; გ) პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება; დ) პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება; ე) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება; ვ) ტრენინგკურსებისა და პროგრამების განხორციელება არაფორმალური განათლების ფარგლებში;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, უფლების მოპოვების მიზნით კოლეჯი გადის სრულ ავტორიზაციას, ხოლო პროგრამის დამატების მიზნით შესაბამისი პროგრამის ავტორიზაციას.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დასრულების შემდეგ კოლეჯის მიერ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი ან სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მომზადების/გადამზადების პროგრამების ან ცალკეული მოდულების დასრულების ფაქტს.

4. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის , პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების და მომსახურების მიღების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსის მსმენელებთან და განმახორციელებლებთან ფორმდება ხელშეკრულებები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. კოლეჯის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 30. კვალიფიკაციის მინიჭება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე , რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.

1. კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით კოლეჯის დირექტორი, გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბრძანებას საკვალიფიკაციო კომისიის ოქმის საფუძველზე.

2. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება (საკვალიფიკაციო გამოცდა ვრცელდება 2024 წლის მიღებიდან).

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, კვალიფიკაციის მინიჭების პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

4. საკვალიფიკაციო კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

5. საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების ოქმსს, პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ.

6. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი, კოლეჯის მიერ დადგენილი წესით.

7. პროფესიული სტუდენტი, მათ შორის სსსმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათალისწინებული მოდულების ყველა სწავლის შედეგი, ითვლება კურსდამთავრებულად, მოთხოვნის შემთხვევაში მასზე გაიცემა მის მიერ ცალკეული მოდულის/მოდულების დადასტურების სერთიფიკატი.

8. კოლეჯის მიერ განხორციელებული ტრენინგ- კურსის მსმენელებზე გაიცემა დირექტორის მიერ დამოწმებული სერტიფიკატი.

მუხლი 31. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის , პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება , აღრიცხვა და შენახვა

1. პროფესიული სტუდენტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი პროგრამებით.

2. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.

4. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები, შეინახოს სასწავლო აუდიტორიაში, თითოეულ პროფესიულ სტუდენტისათვის შექმნილ პორტფოლიოში, მოდულის დასრულებამდე; მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, სასწავლო პროცესის და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს თითოეული პროფესიული სტუდენტის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს და შედეგების შეფასების უწყისებს ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით;

5. სასწავლო პროცესისა და სასწავლო - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი , შედეგების შეფასების მტკიცებულებების სრულყოფილად არსებობას გადაამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს კი ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში;

6. პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ სასწავლო პროცესის და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული სტუდენტების შედეგების შეფასების მტკიცებულებებს და შეფასების უწყისებს აბარებს კოლეჯის არქივს.

7. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

მუხლი 32. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო მიზნით შეძენილი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლების მიზნით საჭირო მასალების შეძენასა და შენახვას აწარმოებს კოლეჯი შესაბამისი საშტატო ერთეულების მეშვეობით.

2. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნით. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი.

3. მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი პირისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ების მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

4. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი მასალებისა და ნედლეულის გადაცემას და ნაშთის უკან დაბრუნებას ახორციელებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, მიღებაჩაბარების აქტით.

5. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვას, კოლეჯის მატერიალური პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, ან ნადგურდება დადგენილი წესით.

6. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელ მტკიცებულებას, შესაძლებელია, კოლეჯში ინახებოდეს იმ ვიდეო ან/და ფოტო ან სხვა მასალის სახით, რომელშიც ასახულია ზემოთ აღნიშნული მტკიცებულება.

მუხლი 33. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშება

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო

საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით, პროფესიული სტანდარტით ან/და მოდულით. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

თავი VI. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი

მუხლი 34. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს:

1. მოლაპარაკება კოლეჯსა და დამსაქმებელს შორის.

2. დამსაქმებლის თანხმობა და ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმება.

3. საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე ფორმდება სამხრივი ხელშეკრულება (კოლეჯი, დამსაქმებელი და პროფესიული სტუდენტი).

4. საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვა, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის და პრაქტიკის მასწავლებლის მიერ.

5. საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი პრაქტიკის დაწყებამდე ერთი თვით ადრე უკავშირდება შესაბამისი სფეროს დამსაქმებელს საწარმოო პრაქტიკის დასაგეგმად. აცნობს საწარმოო პრაქტიკის პერიოდს, დღიურად სამუშაო საათების რაოდენობას და ათანხმებს სამუშაო ადგილზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

6. პარტნიორი ორგანიზაცია გამოყოფს საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელს, რომელიც საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელთან ერთად განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას თემატიკის შესაბამისად.

7. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი აცნობს საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელს, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების წესს და დოკუმენტაციას.

8. საწარმოში პრაქტიკის ხელმძღვანელი შერჩეული პირი სტუდენტებს აცნობს საწარმოს შინაგანაწესს და სამუშაო რეჟიმის.

9. პროფესიული სტუდენტის მიერ, პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის დროს საწარმოს შინაგანაწესის უხეში დარღვევის შემთხვევაში პრაქტიკის ხელმძღვანელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას.

10. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია აცნობოს კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს ან ადმინისტრაციას, საწარმოს მიერ პრაქტიკის განხორციელების მიზნით გაფორმებული სამმხრივი (კოლეჯი, სწარმო, პროფესიული სტუდენტი) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეში დარღვევის შესახებ.

მუხლი 35. სამუშაო შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან.

1. საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი და პრაქტიკის მასწავლებელი აწყობენ სამუშაო შეხვედრას პროფესიულ სტუდენტებთან პრაქტიკის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

2. პროფესიული სტუდენტებისათვის ხდება შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

ა) საწარმოო პრაქტიკის დღეების ხანგრძლივობა; ბ) სამუშაო ადგილზე მისვლის და წამოსვლის დრო; გ) დღის განმავლობაში პრაქტიკის საათების რაოდენობა; დ) სავარაუდო განაწილება ობიექტებზე სტუდენტებისა და პრაქტიკის მასწავლებლის ერთობლივი შეთანხმებით; ე) სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის შეფასების გაცნობა და პრაქტიკის დღიურების გადაცემა; ვ)საწარმოს შინაგანაწესის და სამუშაო რეჟიმის გაცნობა.

მუხლი 36. ბრძანების მომზადება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ;

1. ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის მიერ, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე.

2. ბრძანებაში ასახული უნდა იყოს პრაქტიკის ობიექტის დასახელება, მისამართი, , ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პრაქტიკის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია, პრაქტიკის საათების მოცულობა ორგანიზაციაში, ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტების სია.

3. საჭიროების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე განაწილება კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა დაგეგმილი პერიოდიდან მაქსიმუმ ათი დღით.

4. სტუდენტის მხრიდან ინიცირების შემთხვევაში,თუ პრაქტიკის ობიექტი შეესაბამება სასწავლო კურსს, კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმდეს შესაბამისი სამმხრივი (კოლეჯი, საწარმო, პროფესიული სტუდენტი) ხელშეკრულება.

მუხლი 37. სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება

1. სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმო პრაქტიკაზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებისა და ასისტენტის აქტიური ჩართულობით;

2. საწარმოო პრაქტიკამდე ერთი თვით ადრე უნდა განხორციელდეს პრაქტიკის ობიექტის სასწავლო გარემოს შეფასება.

მუხლი 38. პროფესიული კოლეჯის წერილობითი მიმართვა დამსაქმებლისადმი

1. პროფესიული კოლეჯი წერილობით აწვდის პარტნიორ ორგანიზაციას შემდეგი სახის ინფორმაციას:

პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილებული პროფესიულ სტუდენტების სახელობითი სია, სპეციალობა, ინფორმაცია პრაქტიკის ხანგრძლივობის და დღიურად სამუშაო საათების რაოდენობა;

2. პროფესიით დასაქმებული პროფესიული სტუდენტისათვის, რომელიც საწარმოო პრაქტიკაზე განაწილდა თავის სამუშაო ობიექტზე, დამსაქმებლისადმი წერილობითი მიმართვა არ არის საჭირო.

მუხლი 39. საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი

1. საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი ხორციელდება საწარმოო პრაქტიკის მენეჯერისა და საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელის მიერ.

2. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა გამოცხადების კონტროლზე, პროფესიული სტუდენტის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან კომპანიის მიერ შრომის კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში წერილობით მიაწოდოს დირექციას ინფორმაცია.

3. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს სტუდენტს კვირაში მინიმუმ ერთჯერ. პრაქტიკის მასწავლებლის მიერ ორგანიზაციაში ვიზიტი დასტურდება ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მონიტორინგის ფურცლით.

4. პრაქტიკის მასწავლებელი ვალდებულია საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ მაქსიმუმ 3 დღის ვადაში ჩააბაროს საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს საწარმოო პრაქტიკის დღიურები, მონიტორინგის ფურცელი და წარმოადგინოს წერილობითი ინფორმაცია სტუდენტთა შეფასებების თაობაზე.

5. თუ საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა აღემატება 6 სასწავლო კვირას, მასწავლებელი ვალდებულია საწარმოო პრაქტიკის შუა პერიოდში წერილობით წარმოადგინოს შუალედური ანგარიში პრაქტიკის მიმდინარეობის თაობაზე;

6. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლის მუშაობას მონიტორინგს უწევს საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც პრაქტიკის დასრულების შემდეგ დირექტორს წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს პრაქტიკის განხორციელების თაობაზე.

მუხლი 40. პროფესიული სტუდენტის შეფასება და საწარმოო პრაქტიკის შეჯამება

1. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება თემატიკის შესაბამისად.

2. საწარმოო პრაქტიკის შეჯამება ხდება პრაქტიკის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 41. დამსაქმებლისაგან უკუკავშირის მიღება

დამსაქმებლისაგან უკუკავშირის მიღება ხორციელდება ინტერვიუირების, ანკეტური გამოკითხვის ან/და საწარმოო პრაქტიკის დღიურში არსებული სარეკომენდაციო ჩანაწერების საფუძველზე.

თავი VII. ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების-შეფასების და გასაჩივრების წესი.

მუხლი 42. ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი.

1. სწავლის შედეგის შეფასების მიზნით, შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს და ხელმოწერით ადსტურებს მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი.

2. ინსტრუმენტში უნდა იყოს განსაზღვრული ის ცოდნა და უნარები, რომელიც სტუდენტს უნდა ჰქონდეს მოდულის შედეგის მოთხოვნის შესაბამისად.

3. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეიცავდეს ძირითად რეკვიზიტებს: შეფასების ინსტრუმენტის რეგისტრაციის ნომერი, საგანმანათლებლო სტანდარტის/კონცენტრაციის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოდულის დასახელება, კოდი, მოდულის განმახორციელებელი პირი,პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, ჯგუფის ნომერი, დასადასტურებელი შედეგის ნომერი, შესრულების კრიტერიუმები, შეფასების მიმართულება, შეფასების მეთოდი, შეფასებისათვის განკუთვნილი დრო, შეფასების მტკიცებულების სახე, შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა, დავალების აღწერა, დამატებითი პირობები,შეფასების პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/ივნენტარი(დასახელება, რაოდენობა, საზომი ერთეული), ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, შრომის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის რეკომმენდაციები, რეკომენდაციები სსსმ და შშმ სტუდენტების შეფასებისათვის, განმეორებითი შეფასების პირობები,აპელაციის პირობები,

ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ,შინაარსი, შეფასების შედეგი, შემფასებელი პირის ხელმოწერა, შესაფასებელი პირის ხელმოწერა და შეფასების ჩატარების თარიღი.

5. შეფასების ინსტრუმენტის/მტკიცებულების ფორმებს, რომელსაც გამოიყენებს ყველა პროფესიული მასწავლებელი, ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
   5. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შემუშავდეს, კალენდარულ-თემატური გეგმით გათვალისწინებული, შედეგის შეფასების ჩატარებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.

5[1]. შეფასების ინსტრუმენტი ვალიდაციის მიზნით ხელმოსაწერად გადაეცემა: პროგრამის ხელმძღვანელს/შესაბამისი სფეროს პროფესიული მოდულის განმახორციელებელს/შესაბამისი ზოგადი მოდულის განმახორციელებელს, არაუგვიანეს 5 დღისა შედეგის შეფასებამდე.

5[2]. არასრულყოფილი შეფასების ინსტრუმენტი შესასწორებლად უბრუნდება ინსტრუმენტის შემმუშავებელს, შეფასების ინსტრუმენტი უნდა შესწორდეს 1 დღის ვადაში.

6. შეფასების ინსტრუმენტი, დამოწმების მიზნით, ხელმოსაწერად გადაეცემა სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს არაუგვიანეს სამი დღისა შედეგის შეფასების ჩატარებამდე.

7. არასრულყოფილი სტრუქტურის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი შესასწორებლად უბრუნდება ინსტრუმენტის შემმუშავებელს, ინსტრუმენტი უნდა შესწორდეს 1 დღის ვადაში.

8. მოდულის განმახორციელებელი პირი შედეგის დადასტურების დროს ვალდებულია, შედეგის დადასტურებამდე პროფესიულ სტუდენს 5 (ხუთი) დღით ადრე გააცნოს შეფასების ინსტრუმენტში აღწერილი: შეფასების პროცესი, დადასტურების პირობები, სპეციფიკური მოთხოვნები, ასევე შეფასების სხვა საჭირო ინფორმაცია“.
9. მოდულის განმახორციელებელი პირი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ დამოწმებულ ინსტრუმენტს, გადასცემს პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგის შეფასების მიზნით.

10. სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურებას შემფასებელი აღნიშნავს დადასტურების ველში და აწერს ხელს. შედეგს აფიქსირებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ მოდულის შეფასების უწყისში.

11. მასწავლებელი შეფასების შედეგს აცნობს პროფესიულ სტუდენტს, რასაც სტუდენტი ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტზე ხელის მოწერით. შედეგის ვერდადასტურების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ეთანხმება მასწავლებლის გადაწყვეტილებას და სარგებლობს განმეორებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებით. ან არ ეთანხმება მასწავლებლის გადაწყვეტილებას,სარგებლობს გასაჩივრების უფლებით

და ასაჩივრებს კოლეჯის ადმინისტრაციაში წერილობითი ფორმით,პრეტენზიის მითითებით.

12. შეფასების მიზნით, ტესტის გამოყენებისას, თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, მიზანშეწონილია განმეორებითი შეფასებისას უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით გათვალისწინებული კითხვები ნაწილობრივ შეიცვალოს. სასურველია დახურული კითხვების ნახევარი შეიცვალოს, ხოლო ღია კითხვები შესაძლებელია უცვლელი დარჩეს.

13. შეფასების მიმართულებების, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით და პრაქტიკული დავალების გამოყენებისას, თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, შესაძლებელია განმეორებითი შეფასებისას გამოყენებული იყოს იგივე შეფასების ინსტრუმენტი.

14. სწავლის შედეგის ვერდადასტურებისას, რომელიც გამოწვეულია არგამოცხადებით, განმეორებითი შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იგივე შეფასების ინსტრუმენტი.

მუხლი 43. პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრება (აპელაცია)

1. შედეგის ვერდადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გასაჩივრების.

2. შეფასების შედეგის გასაჩივრება პროფესიულ სტუდენტს შეუძლია პირადად ან კანონით დადგენილი წესის შესაბამისად კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, წერილობით კოლეჯის დირექტორთან, შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
3. გასაჩივრების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან;
4. სააპელაციო კომისიაში უნდა იყოს:
ა) კოლეჯის სასწავლო პროსესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი;
ბ) ადმინისტრაციის წევრი;
გ) დარგის სპეციალისტი, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით;

5. სააპელაციო კომისია პროფესიული სტუდენტის საჩივარს განიხილავს გასაჩივრებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ადგენს კომისიის სხდომის შესაბამის ოქმს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ამავე ვადაში აცნობებს კოლეჯის დირექტორს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვაში;

6. სააპელაციო კომისიის უფლება-მოვალეობები, პროფესიული სტუდენტის საჩივრის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილი უნდა იყოს სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში;

7. სააპელაციო კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესისა.

8. საჭიროების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, დირექტორის გადაწყვეტილებაში მიეთითება განმეორებითი შეფასების თარიღი, მოდულის წინაპირობათა დაკმაყოფილების დაცვის გათვალისწინებით.

9. სააპელაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება წერილობით, გასაჩივრებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი კომპეტენტური პირის მიერ;

მუხლი 44. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგის შეფასების წესი

1. კოლეჯში მოქმედი საკრედიტო სისტემით, 1კრედიტი შეადგენს –25 ასტრონომიულ საათს;

2. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

3. შეფასება გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

4. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

5. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

6. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასება ერთჯერ, წერილობით. განმეორებითი შეფასება შეიძლება განხორციელდეს სწავლის დასრულებამდე ორი კვირის ვადაში.

7. საჭიროების შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების მოთხოვნა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით (განცხადება) მოდულის დადასტურების ორ კვირიანი ვადის არაუგვიანეს პირველ კვირაში.

8. თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, მაშინ განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს ორი კვირის ვადაში იმ მოდულის დაწყებამდე, რომელ მოდულზე დაშვების წინაპირობასაც წარმოადგენს აღნიშნული მოდული.

9. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

9[1]. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისას, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულური პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტების ათვისება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

10. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით.

11. სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება.

12. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
12[1]. პროფესიულ საგანმანათლბლო პროგრამაზე სწავლების დაახლოებით შუა პეროდში, როდესაც პროფესიულ სტუდნტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%, ჩატარდება შუალედური შეფასება, რომლის მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
12[2]. შუალდური შეფასება არის სავალდებულო და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის გარეშე დაუშვებელია პირზე კვალიფიკაციის მინიჭება.
12[3]. დუალური ფორმით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობაა სრულფასოვნად შევსებული ჩანაწესრების ჟურნალი.

12^5. შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა ვრცელდება 2024 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.

13. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შედეგებს და შეფასების მიმართულებას.

14. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას.

15. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, მოდულის ქართული ენა A2 , საშუალო და უმაღლეს საგამნანათლებლო პროგრამებში ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 29-ე მუხლით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

მუხლი 45. სამუშაოზე დაფუძნებული /დუალური სწავლების პირობებში, კოლეჯში/საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასება.

ა) სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლება, რომელიც მიიღწევა მოდულით გათვალისწინებული სასწავლო დატვირთვის 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში, კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება ამ წესის მე-2 მუხლით.

ბ) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები კი ფასდება შუალედური გამოცდისა და/ან პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალის (შეფასების მტკიცებულების) საფუძველზე. საწარმოში მიღწეული სწავლის შედეგისათვის პირს მიენიჭება სწავლის შედეგისათვის განსაზღვრული კრედიტი, მიუხედავად ამ სწავლის შედეგის მისაღწევად დახარჯული დროისა.

გ) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება ხორციელდება, სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 22 თებერვლის N 67 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული წესის და ამ წესში 2020 წლის 17 ივნისის N 29 „ო“ ბრძანებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

სასწავოლო პროცესში გამოსაყენებლი ფორმების სანახავად გადადით კოლეჯის ვებგვერდზე https://erkvani.ge „საკანონმდებლო აქტი → სასწავლო პროსესის მარეგულირებელი წესი→ სასწავოლო პროცესში გამოსაყენებლი ფორმები“

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 აგვისტოს N 60 „ო“ ბრძანებით

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 20 იანვრის N 8 „ო“ ბრძანებით.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N 23 „ო“ ბრძანებით.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 26 დეკემბრის N 150 „ო“ ბრძანებით

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 23 იანვრის N 6 „ო“ ბრძანებით

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 31 იანვრის N9 „ო“ ბრძანებით.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 07 აპრილის N 36 „ო“ ბრძანებით.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 10 აპრილის N 33„ო“ ბრძანებით.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 31 ოქტომბრის N 130 „ო“ ბრძანებით

კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 06 დეკემბრის N 153 „ო“ ბრძანებით.